

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფიგის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ, въ Редак-
цію „Дროба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ., 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ., 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ბამონის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განტვირთვისა: სურვილზე რვა კაპი; გარე-
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენულ-
ხად.

თუ საქართველო მოითხოვს რედაქცია განსწორებს
და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს
დაუბეჭდედ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
აუტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ
объявл. Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — მ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს
ტომამშვილთან; გორში — აბალო თუთაყვანთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

მართის პროპაგანდა

თბილისი, დეკემბრის 4-ს.

ამ დღეებში თბილისის საბჭომ ხელ-
მეორედ მოისმინა ბ. ნიკოლაძისაგან
ამ ორის წლის წინად წარდგენილი
პროექტი იმის შესახებ, რომ თბილი-
სის შუაგულიდამ, თუნდ მრევლის
მოედნიდამ ან მეღვინეობის ქუჩიდან
გაყვანილ იქნას დიდი და სწორე
ქუჩა აბანოებამდე; რომ ამისათვის სა-
ჭარო ადგილები ქალაქში შეისყიდოს
და მასუკან, თავისი ფული ამოიგოს
ამ ადგილების გაყიდვით, რომელნიც
ახალი ქუჩის მარჯვნივ და მარცხნივ
იქნებოდნენ და რომელთაც ერთი ორად
და სამად მეტი ფასი დაედებათ ეხლან-
დელზედ. პროექტის აზრით, საქართვე-
ლში

აგრეთვე შესყიდვა ქალაქის აბანოების
სა ყველა აწინდელ მფლობელთაგან
და ისე მოწყობა მათი, რომ ავად-
მყოფებს შეეძლოთ იქ ბანება და
წამლობა მთელის წლის განმავლობა-
ში. ამას გარდა პროექტი საჭიროდ
ჰხედავს შესყიდვას აბანოების გარეშე-
მო მდებარე ქობ. მახებისას, იქ პარ-
კის გამართვას ჰაერის გასაუფჯობებ-
ლად და იმ სიმკრძალითა და უწინ-
დურების ასაცილებლად, რომლის
ბუდედაც არის გადატყვეული ეხლა
მიდამო აბანოებისა და თათრის მოედ-
ნისა.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ
ამ განხილვებში პროექტმა არ შეჭარბა
ქალაქის საბჭო, არ დაერიდა იგი იმ
აუარესებელ ხარჯს, რომელიც მის შე-

სრულებას დასჭირდება და ამოიჩინა
კომისია შემდგარი ცხრა პირისა-
გან. ამ კომისიამ უნდა განიხილოს
ეს ვრცელი პროექტი ყოველის
მხრით, არ დაზოგოს მის დაწვრილე-
ბით შესამუშავებლად ხარჯი და მას-
უკან თავის მოსაზრება წარუდგინოს
ქალაქის საბჭოს.

თბილისი, როგორც წარმოსთქვა
თვით პროექტის ავტორმა, დაარსდა
იმ თბილის წყლების წყალობით, რომ-
ელნიც დედამიწიდან უხვად ამომქე-
ვდებენ და მომავალშიც ამ თბილმა
წყლებმა უნდა გააუმჯობესონ მისი
მდგომარეობა. მკითხვის აზრით არსად
დღეა-მიწის ზურგზედ იმისთანა მარ-
გებელი წყალი არ ამოდის, როგორც
თბილისში და ჩვენს ქალაქს კიდევ ის
უპირატესობა აქვს, რომ აქ ზამთარ-
ზედ შეუძლიანთ ავად-მყოფებს
დარჩენა და აბანოების სამკურნალო
წყლებით სარგებლობა. და თუ მართ-
ლა გარეშეა ამ აბანოებისა აყვავე-
ბულ პარკად გადაქცა და ავადმყოფებს
შეეძლებათ სიამოვნებით სეირნობა,
იქ, სადაც ეხლა საროსკიპო სახლე-
ბის და საზინდარი ტრაქტორების მეტი
თითქმის არა არის-რა; თუ აბანოე-

ბამდე მისგლისათვის გაყვანილ იქნენ-
ბა ვრცელი და პირდაპირი ქუჩა გვერ-
დებზედ ხეებ-ჩამორიგებული; თუ ვრ-
თის სიტყვით ეხლანდელი ბინძური
თათრის მოედანი და ხარუტხი მლღო-
რადოს მგზავს რადმე ვადიქცევა,
მაშინ, უეჭველია, მრავალნი ავად-
მყოფნი სხვა-და-სხვა სამხელარ-გარე-
თის წყლებზე წასვლის მაგივრად, თბი-
ლისში მოვლენ და აქ დახარჯავენ იმ
ფულს, რაც ეხლა მარინებადესა და
ძარღვადებში იხარჯება.

ჩვენ არა გვეჭრა თბილისის სრუ-
ლი და ცემა მარტო იმის გამო, რომ
იგი შუთანა სტანციად გადაიქცა და
მისგან გამოწოვილი სისხლით ვითომ
ბათუმი და ბაქო იკვებებიან, — და არა
გვეჭრა იმიტომ, რომ თუ ეს მართ-
ლია, მაშინ ყოველი ქალაქი რომე-
ლიც კი შუთანა სტანციად მოექცე-
ვა, უნდა სრულიად დაეცეს და ისი-
ნი კი, რომელიც თავსა და ბოლო-
ში არიან მოქცეულნი, განსაკუთრე-
ბულს წარმატებას მიეცენ. თბილისი,
რაც უნდა იყოს, მაინც ძველის
შუაგულად ითვლება და სხვა და სხვა
ადგილებიდან, რომელიც კი რკინის
გზის ლიანდაგზე არა მდებარებენ, აქ
მოდის ჯერ ყოველ გეგრი საქონელი

„დროების“ ძეგლთანი, დეკემბ. 4-ს

უცხოელის აზრი

„ვეფხისტყაოსანზე“

პოემის გადათარგმნის გამო

ჭრანკუზულს ენაზე.

(შემაჯობი*)

ზადედივარ ახლა თვით პოეტსა და
მის ქმნილებასზე.

რუსთაველი ამბობს პოემაში, რომ
ეს უკანასკნელი დაფუძნებულია სპარ-
სტულს ამბავზეა. ამ აზრს პოეტისას
შეუძლიან „მეფხვის-ტყაოსნის“ მტერ-
თა შორის გამოიწვიოს ეჭვი, რომე-
ლიც მოკლედ შემდეგის სიტყვებით
გამოიხატება: რუსთაველის პოემა არც
ორიგინალური ნაწარმოებია და არც
ეროვნულია. ჩემის აზრით, თვით ამ
საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება გროზა-
დაც არა ღირს. პირველის წუნის
შესახებ მე ვუბნახებდი, რომ რუს-
თაველის დიდება შეუძლებელია დაამ-
კიროს იმ გარემოებამ, რომ მან
იქნება ისარგებლა სპარსული თქმუ-
ლებით, რომელიც მის დრომდე არ-
სებობდა. მის მოუვა განა დღეს ფიქ-
რად, რომ წუნი დასდოს შექსპირს
იმისთვის, რომ სიუჟეტები თავის დრა-
მებისათვის მან აიღო ბოკაჩოსაგან,
რომელიც თავის მხრით ძველი მა-

ტიანებდამ იღებდა მათ? ბეთხოვენი
მოგვითხრობს, რომ ერთხელ ქუჩაში
ღია ფანჯრის გვერდით გაიარა და
მოესმა რამდენიმე ფორტეპიანოზე
აღებული ნოტა, რომელმაც მიიტკია
მისი ყურადღება; მიუხლოვდა ფან-
ჯარას და, თვისდა გასაცვიფრებლად,
შენიშნა, რომ ეს ნოტები ისმოდა
ინსტრუმენტადგან პატარა ქალის ბრახუ-
ნის წყალობით კლავიშებზე. და, აი, ამ
უკანასკნელ ნოტებისაგან — ბავშვის აზ-
რებისაგან — მან შეადგინა ინსტრუმენ-
ტი, ანუ შესავალი ერთის თავის საუკე-
თესო სონეტისათვის. არ არის დიდი ხა-
ნი მას აქედ, რაც მე თვითონ მქონდა
შემთხვევა აღმომიჩინა მზავსება შილე-
რის ბალადისა „Fredolin“ და ერთის
არაკის შინაარსისა, რომელიც (არა-
კი) ნემეცების პოეტზე ბევრად ადრე
საბა-სულობან ორბელიანს თავის „სი-
ბრძნეს-სიკრუეში“ მოუქცევია. მაშ
განა ამისათვის შექსპირს, ბეთხოვენს
და შილერს შემოამქმენდი არ უნდა
ეწოდოთ თავიანთ დრომებისა, სონა-
ტებისა და ბალადებისა; მაშ განა
რუსთაველი ამისათვის არ არის ნამდ-
ვილი ავტორი მეფხვის ტყაოსნისა?
ხელოვნება ის არის, როგორ შეას-
რულებ საქმეს, როგორ მოიხმარ მა-
სალას და არა ისა, რა არის მთავარი
აზრი ამა და ამ ნაწარმოებისა... რაი-
ცა შეეხება მეორე წუნს პოემის არა-
ეროვნულს ხასიათზე — მე ამის პასუ-
ხად მხოლოდ სენ-ბევის სიტყვებს

მოვიყვან, რომელიც მან პირგლიის
გამო წარმოსთქვა: „ყველა ცხოველი
პოემები, რომელიც ოდესმე აღელ-
ვებდენ და აღტაცებაში მოჰყავდათ
თანამედროვენი, თუმცა მათი გმირე-
ბი სხვა დროს ეკუთვნოდენ, შეი-
ცადენ ისეთს კუნტულს, რომელიც
უახლოვდებოდა მათ (თანამედროვეთ)
დროსა და ყოფა-ცხოვრებას. და სხა
და ძამოენსს ყოველისფერი ახალი
დროის შესახებ ჰქონდათ მოთხრო-
ბილი, ისე, როგორც ტანსა და მილ-
ტონსა. ტელემაკი, რომელიც ისე
ძველი იყო შინაარსით, ნამდვილად
სრულიად სხვა გვარ პოლიტიკურს
აზრებს შეიცავდა და სხვა თვისებით
იყო გაქმენთილი, ისე რომ იგი
ლიუდოვიკოს მე-XIV თანამედროვე
ქმნილებას წარმოადგენდა, — ეს იყო
მიზეზი, რომ მან სახელი გაითქვა.
შექველია მამასადამე, რომ რუსთა-
ველის პოემა, რომელმაც თავისი
დრო და თავისი ქვეყანა აღტაცებაში
მოიყვანა, უნდა ყოფილიყო ამ დრო-
ის ვითარებით და თავისი ერის თვი-
სებით გაქმენთილი და გამსჭვალული
უნდა ყოფილიყო, და რომ, როგო-
რიც უნდა ყოფილიყო მისი შინაარ-
სი, სპარსული თუ არაბული, სადაც
უნდა წარმოებულყო მისი მოქმედე-
ბა — ინდოეთში, თუ სხვაგან, მეფხვის
ტყაოსნის ყოველთვის იყო და იქმე-
ბა ქართული ნაწარმოები.

ლემბ და შევადარებთ თვით ნა-
წარმოებს, დავინახათ, რა სიყვარუ-
ლით ეკიდებოდა რუსთაველი იმ საქ-
მეს, რომელიც ეტყობოდა. მთავარი
აზრი პოემისა — სიყვარული ამალღე-
ბული, წმინდა, მტკიცე — მისდევს პო-
ემას თავიდან დაწყებული ბოლომდე,
თითქო წითელი ძაფიაო. პოეტი გვა-
უწყებს, რა გვარი უნდა იყოს სიყვარ-
ული და რა ზნენი უნდა სჭირდეს
გამიჯნურებულთ. „მიჯნური უნდა
იყოს ლამაზი, მჭვერ-მეტყველი, ჭკვი-
ანი, იყოს სულ-გრძელი, მდიდარი;
იგი მტკიცეა და მომთმენი; თვით უჭ-
ლიერეს მტრებს ეშინიანთ მისი; ვისაც
ეს ზნენი არა სჭირს, იგი ნუ იტყვის
თავსა მიჯნურად“. და ცოტა შემდეგ:
„ქეშმარიტს მიჯნურობას მოსწონს
გამარტოება“, — ანუ კიდევ შემდეგ:
„საჭიროა რომ სიყვარულსა ყველასა-
გან მაღვიდეს მიჯნური“ — და ბოლოს:
„რომ ყველა ტანჯვა, რომელიც მან
ხვდება წილად, მიანდეს სიტკბოე-
ბად“.

თვით ნაწარმოებში პოეტი აკმა-
ყოფილებს ყველა ამ მოთხოვნილე-
ბათა; არას დროს არ ავიწყება ვნე-
ები და ამით აჩვენებს მკითხველებს,
რა სიმტკიცით ადგია იგი დასაწყისში-
ვე ჩაუქრებულს კონცეპციას. ჩვენს
დროში ხშირად არიან იმისთანა ავ-
ტორები, რომელიც სწერენ აჩქარე-
ბითა და მოუფიქრებლივ, მხოლოდ
იმ ერთად-ერთის აზრით, რომ გავ-

*) იხილე „დროება“ № 259.

სულიერი, თუ უსულო და აქედამ მერე სხვაგანა რიგდება. ბარდა ამისა, თუ მბილისელმა კაპიტალისტებმა კუთხის მხარეს და უბრალო აღებ-მიცემობის მაგიერ, საქარხნო წარმოებას მიჰყვეს ხელი, მბილისის იგივე მნიშვნელობა მიეცემა შედარებით, რა მნიშვნელობა აქვს მოსკოვს, თუმცა ამ უკანასკნელ ქალაქს დედა-ქალაქისათვის საჭირო დაწესებულებანი 180 წელიწადია, რაც მოაზროვნეს და პეტერბურგში გადიტანეს. მიზეზობით, ჩვენ არა გვეჯერა პესიმისტების წინასწარმეტყველება მბილისის მეტის-მეტად ცუდს ბედზედ მომავალში, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, თუ ბ. ნიკოლაძის პროექტი შესრულდა, ამით მბილისის დიდი მნიშვნელობა მიეცემა და გარდაიქცევა მართლა საკურნებელ ქალაქად, რომელშიაც უცხო-ქვეყნელი მდიდარი უხვად მოიტანენ ფულს და გეროვანად გააცხოველებენ ეხლა დაცემულს ვაჭრობას.

მეტად ძნელი საქმე მიანდო კომისიას ქალაქის საბჭომ და ამ საქმის დამთავრება ქალაქს მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როდესაც მბილისელები იგრძნობენ თავიანთ ინტერესს, იგრძნობენ, რომ ამ გვარის საშუალებით დიდი შემატება ექნება, როგორც მთელს ქალაქს, ისე თვითთველს მის მცხოვრებს და გაუადვილებენ ქალაქის ზამთრებას ამ პროექტის შესრულებისათვის საჭირო მამულების შესყიდვას.

სონ ფურცლები და იმას კი აღარ ატყობენ, რომ შეცდომანი მოსდით ლოლიკის წინაშე და შუაში ავიწყდებათ ის, რაცა სთქვებს დასაწყისში! — მრთს კარგად ცნობილს ნემცეების რომანისტს შევითხვა ასეთი უბედურება და შუაში თავის რომანის გმირ-ქალს საუბრად სხვა სახელი მისთვისა. რომანი გაზეთში იბეჭდებოდა და ეს შეცდომა მხოლოდ მაშინ იქმნა შენიშნული, როცა რომანის ორი მესამედი იყო უკვე დაბეჭდილი. რაღა უნდა ექნა ავტორს? ახლად ხომ ვეღარ დაიწყებდა ბეჭდვას! მა მან გადაარჩინა თავი გაჭირვებას იმით, რომ დაიწყო შემდეგი თავი რომანისა ამ სიტყვებით, რომელნიც გმირმა-კაცმა რომანისამ მიმართა გმირ-ქალს: „ძვირუასო მარია, რომელსაც მე ხან-და-ხან გეძახი ხოლმე შარლოტას!“ მსეთი ამბავი უეჭველოა არ შევითხვევოდა რუსთაველს. მისი ნაღვაწი გვიმტკიცებს, რომ იგი ისეთის გულ-მოდგინებითვე ჰკიდებდა ხელს თავის სამუშაოს, რა გულ-მოდგინებითაც თვით თხოულობს, რომ ეკიდებოდნენ პოეზიას, როცა ამბობს არა ერთჯელ და ორჯერ: „რომ მოშაირე მოხერხებით ექცეოდეს თავის ხელობას, რომ იგი ესაყვარებოდეს მას გულთა და სულითვე, რომ იგი ჩაუღრმავებოდეს მას და რომ მისი ენა მუსიკობდეს“.

ამ გვარ ჩამოთვლილ თვისებებ-

ზინაური პრონია

— ბუშინ წინ, სალამოს 8 საათზედ, შუაგულ ქალაქში, მლისავეტის ქუჩაზედ, მოხდა საზიზღარი მკვლელობა. მრთს ვილაც საცოდეს კაცს ხანჯლით მუტელი შუაზედ გაუხვს. საეჭვოა, რომ დაჭრილი ცოცხალი-ღა გადარჩეს.

— ამ სამის დღის წინად გადაცულილს მბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ანდერძად დაუტოვებია, სხვათა-შორის, რომ იმ ფულით, რომელიც მას დარჩა, მის სახელობის სტიპენდია დაარსდეს და ეს სტიპენდია მიეცეს იმ გვარს შეგირდს, რომელიც ყველაზედ ღარიბი იქნება და ყოფა-ქცევაში და ცოდნაში საუკეთესო ნიშანი ექმნება.

— ბორშიც დაუწყვიათ ავაზაკობა. ამ დღებში იქ გაუტეხიათ ღუქანი, რომელშიაც სძინებია ერთს მგზავრთაგანს, წაურთმევიათ ოქროს საათი და 40 მან. ფული. პოლიცია ფეხზე დამდგარა, და უნდა კაცმა სთქვას, მარჯვედაც მოქცეულა. შაოვინა ნაქურდალი და ჩაუბარებია პატრონისათვის. ავჯაკი დაჭერილია.

— ბორის მახრილად გვატყობინებენ, რომ სოფ. ბრეთში და მის ახლო მახლო სოფლებში ყვავილი გავრცელებულა, და თუმცა ჯერ ისე არა მძინევირებს, რომ ხალხში შიში გამოიწვიოს, მაგრამ მაინც საკმაო ხარკს კი ჰკრეფავსო. საჭიროა, რომ მაზრის

ბით, რომელიც უნდა განახლებებდნენ მიჯნურთ, რუსთაველი ყველაგან ამკობს თავის გმირებს. რომანის ფიზიკური ძალიან ცხადად არიან დახატულნი და მკითხველს ადვილად უნდა შეეძლოს აღვიაროს მომქმედ პირთა გონიერება, სულ-გრძელობა, სილამაზე... და რადგანაც, პოეტის მორალისა-მებრ, ჯილდო აუცილებელია მისთვის, ვინც იგი დაიმსახურა, ყველა მკითხველი რუსთაველისა, უნდა მოელოდეს, რომ მის ამბავს კეთილი და ბედნიერი დასასრული ექნება.

მღრე შევედგები გარკვევას და ანალიზს ხასიათებისას, რომელნიც, ჩემის აზრით, დიდის გულ-დადებით და კაცის გულის ღრმა-ცოდნით აქვს დახატული და შექმნილი — მინდა ორიოდ სიტყვა ესთქვა თვით რუსთაველზე, იმ რუსთაველზე, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგება თვალ-წინ მის ნამოქმედარის კითხვის დროს, არა როგორც პოეტი, არამედ როგორც კაცი. ასე იმიტომ უნდა მოვიქცეთ, რომ არ უნდა გვაფიქვდებოდეს შემდეგი ნათქვამი: „სული პოეტისა ჰკრთის და იხატება მის ნაწარმოებში და ნამოქმედარში“. რასაც ვიტყვი მე ამ საგნის შესახებ, პირ-და-პირი შედეგია იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც აწარმოვა ჩემზე, მეფხვის-ტყალის: „კითხვამ და მე საუბრეველი არა მაქვს არ გამოვსთქვა ის, რასაც ვფიქრობ: ჯერ განცვიფრებული ვი-

ეკიმა ეხლავე მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებასა.

— პირველის დეკემბრისთვის დანიშნული მარულა, რომელიც უნდა გამართულიყო შუთაისში, ცუდი ამიღებისა გამო სხვა ვადისათვის დაუნიშნა. მაგრამ, საფიქრებელია, გვეყრენ, რომ გაზაფხულამდის სულაც ვერ მოხდეს მარულა, რადგან რაკი ამ ზამთრის პირად ცუდი ამინდები დადგა ჩვენს შუთაისში, ამას ზამთარიც მოჰყვება თან გაუწყნარებელის თოვლ-წვიმებით.

— გავ. „მწვემისა“ თავის მე-23 ნომერში აცხადებს ხელის-მოწეწას მამაკალის წლისთვის და თან დასძენს, რომ 1885 წლისთვის ჩვენ განვიზრახეთ „მწვემისთან“ ერთად დამატება გუგუდოთ რუსულს ენაზე, „მწვემისა“, თითოეულის ნომრის საგრძისა, თვეში ერთხელა. ამ „დამატებას“ სავანად ექნება, როგორც გაზეთი ამბობს, გაანოს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი გაჭირვება და დასვენება იმათ, ვინაც შეუძლიან ჩვენს ქვეყანას საკეთე მოუტანონ. ამ დამატებაში დაიბეჭდებიან ორთავიანული ნაწარები და გადი-თარგმნებიან საუკეთესო წარლები „მწვემისასა“.

— „ნოვ. ობზრ.“ შეუტყუა, რომ მომავლის წილადამიერ კავკასიის გუბერნიებში დაარსდება თითო სტატისტიკური კომიტეტი, რისათვისაც ორ-ორი ათასი მანათი გადაიდება გუბერნიებზე. გაზეთი ამბობს, რომ ეს გაკრძობება ბევრად უშველის კავკასიის ყვე პოეტით, როცა მისი კითხვა დავიწყე, მერე ეს განცვიფრება შეიცვალა პატივის-ცემად, რომელიც გამოიწვია ჩემში მისმა პიროვნებამ, როგორც პიროვნებამ კაცად კაცი-სამ. რუსთაველი თავის ნაწერში იჩენს დიდს სიმდიდრეს კეთილ-შობილ გრძნობათა, აზრთა და პრინციპთა. მთელი ამბავი გასულდგმულე-ბულია დაუბოლოვედელის მისის სიყვითით. ავტორი სიყვარულით შესდგება ხოლმე იმ ალავს, სადაც მას შეუძლიან გამოსთქვას — ან ობიექტურად, გმირების პიროთ, ან სუბიექტურად საკუთარი თავისი მსჯელობანი.

ზოგიერთა ალავას, საცა მსვლელობა მოქმედებისა ითხოვს, რომ გმირები მკაცრი იყვნენ იგი, ნამდვილად ამ გვარებადა ჰხატავს მათ, მაგრამ ამის შემდეგ მაშინაღვე წარმოსთქვამს სიტყვებს შერიგებისა და შენდობისას, როგორც ეს სჩანს, მაგ., იმ სცენაში, საცა ავთანდილი მოკვლას ემუქრება ასმათს. მს სცენა სრულიად შესაბამია ავთანდილის ხასიათისა: იგი დახეტიალობს მინდვრად და ტყეებში სამის წლის განმავლობაში ტარიელის საძებნელად, — პოულობს მას და, აი, სწორედ ამ კაცზე ასმათი არაფერს ეუბნება მას. მოუთმენლობა შეიპყრობს მაშინ ავთანდილს და განიზრახავს ძალით მოქმედებას, — იქნებ ეს გაჯავრება


ტენტალურ კომიტეტის განცხადება-ბასა, რომელსაც სტატისტიკურ-ცნობანი პოლიციისაგან ემდგოდა ხოლმე.

— ამ დღებში თბილისში გარდაიცვალა ასალ-გაზდა მსატყაში რომან გველე-სიანი. მიგვაღებულს სამხატვრო განათლება მიეღო პეტერბურგის აკადემიაში, იმ თავითვე საკმაო ნიჭი გამოქინდა და უწადაღება მიაქცია. ჯერ მოსწავლე იყო, როცა თანამშრომლობდა სხვა-და-სხვა გამოცემებში. უკანასკნელ დროს გველეისანი მიიწვიეს ასლის უწინაღის „ნოვისა“ სურათების სახატავად, მაგრამ სიკვდილმა ადარ დააგდა საცოდავს თავისი ნიჭი განუკითარებინა და თავის ქვეყნისთვის სასარგებლო შექნილიყო.

— „მწვემისა“ მე 23-ში კვითხულობთ: „ქველ დროში თბილისის სასულიერო სემინარიის კვლევისაში ჩართულად სრულდებოდა ხოლმე ხან-დის-ხან წიგნი, მაგრამ ამ ბოლო დროს მოისპო. ესეა ყოველად უსამდეველესის საქართველოს ექსანხოსს, ანსიკანსკოპოსს პავლეს, როგორც გვეყრენ, მიუცია ნება ხან-დის-ხან ჩართული წიგნისა და საკვლე-სიო წიგნებს მოწაფეება ჩართულად კვითხულობენო. ეს დიდ სარგებლობას მისცემს მათ, ვინაც მკვლად წასვლა სურთ და ამოკრებს ამ დანახვას, რომელიც ესხანდელ სემინარეებს სში-რად ესმით საზოგადოებისაგან“.

— ბ. პოტე მესხი გვთხოვს გამოცხადოთ, რომ „დროების“ მე-258 №-ში დაბეჭდილი წერილი „რომოდეს სიტყვა ქუთაისის სათავადა-სნაურთა ზან-განგებაც გამოიჩინა მან, — მაგრამ მაინც ჩქარა მოდის გონებაზედ; ავთანდილი დინჯი, ცივი და პრაქტიკულის ბუნების პატრონია და უცებ მოისახრებს, რომ შეცდომა მოუვიდა, როცა ძალას მიმართა, და სწრაფად დაიმვიდებს გულს, თავს ანებებს გაჯავრებას. მეორე ადგილი, რომელიც ამ გვარსავე სცენას წარმოადგენს — როსტევენ მეფის გაჯავრებაა, როცა შერმალინი გაუმხილებს თავის მზრძანებელს ავთანდილის წასვლას. მეფეს თავი დააფიწყდა და ისე გაჯავრდა, რომ თავის ყმასა და ქვეშევრდომს სკამი ესროლა, მაგრამ მეორე დღესვე გონს მოვიდა, მოუწოდა მას და თავისი გაჯავრება, მეტის-მეტი უსიამოვნო ამბით გამოწვეული, დაყვავებით გამოისყიდა. შევლა ამ დწვირ-ლებას მე ისე ვუტყვი, როგორც მეტად ნახს სამხატვრო და ხელოვნურს ნაკვთს, რომელსაც ძნელად მოსძებნის კაცი მე-XII საუკუნის პოეტების თხზულებებში. მხოლოდ თავის საკუთარის ხასიათისაგან ექმნება რუსთაველს იგი შთაგონებული.

(შემდეგი იქნება).



გის შესახებ იმას არ ეუთვნის. რედაქცია ასრულებს მისს თხოვნას და ამტკიცებს, რომ საზოგადოდ ამ წელს ძოტე მესხისაგან დაწერილი სრულიად არაფერი დაბეჭდილა „დროებაში“.

ს ა ბ ა ა ს ო

უძლეური სიბრაზის ნაყოფი.

(დასასრული *)

ათი წლის წინად „ძონის“ პირველს გამოცემის წინასიტყვაობაში ჩვენ გამოეთქვით შემდეგი აზრი: მაგნიტის წიგნების პირდაპირს თარგმანს ჩვენ ვამჯობინებთ მათგან ამოგველო საუკეთესო მოთხრობანი, თითქმის ამდენიმე სხვა წყაროებიდან დაგვემატებინა, ჩაგვერთო შიგ ზოგიერთა ჩვენნი მოთხრობანი და ამ გვარად შედგენილი წიგნი გამოგვეცა, — და ამასთან გამოეთქვით იმედი, რომ ამ გვარად მომზადებულს წიგნს უბრალო თარგმანზედ მაღლა დააყენებენ ჩვენი სკოლისა და სახლობისათვისაო. ამას ჩვენი მკილველი საზიზლარს კვებნას ეძახის. მსთქვით, რომ ამ სიტყვებში მართლა მოისმის კვებნა. მაგრამ რადგან მათი ქაჭანება აღზრდად არის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, ძველს არხივში მათს ძებნას და იქიდან ამოღებას იკადრებს მხოლოდ ყოველად უძლეური ბაღანა, რომელიც, ნამდვილი საბუთების უქონლობის გამო წიგნის წინააღმდეგ, ლაბე-ყარეს ეღება. ამოდენა ვადაც რომ არ ვასვლოდით მოყვანილს სიტყვებსა, კვებნა იმისთანა ჩვეულებრივი ნაკლულეფანება კაცის ცოდვილი ბუნებისა, რომ არამც თუ იმისთანა პატარა კაცი, როგორც ჩვენ, ვერ აიცილებს ყოველთვის მას თავიდან, იმისთანა ვეებერთელა ბუმბერაზიც კი, როგორც არის ბისმარკი, ხშირიდ ჩავარდება ხოლმე ამ ცოდვაში, აი როგორც ჩავარდა იგი ამ დღეებში, როდესაც პარლამენტის დეპუტატებს უთხრა: თვით მთელი მე-როპა ფენებზედაც არა მკილია და თქვენ ვინა ჰყრინართ, რომ შეგებოვართო. მაგრამ თუ საქმეს დასისხლიანებულთ თვალთ არ შეგხვდეთ, ჩვენს სიტყვებში ტრაბახს ვერ დაიხახავთ. ყოველი შემადგენელი რომელიმე წიგნისა იმიტომ აღგენს მას, რომ უფრო საუკეთესოდ, უფრო სასარგებლოდ მაინა იგი; ვიდრე უბრალო თარგმანი ამავე გვარა წიგნისა, და აცხადებს იმედს, რომ საზოგადოება მისგან შედგენილს წიგნს მაღლა დააყენებს უბრალო თარგმანზედ, უფრო სასარგებლოდ ჩასთვლის. ჩვენც ჩვენი „ძონა“ მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია (დახე ცოდვასა) უფრო გამოსადეგად ჩვენი ოჯახობისა და სკოლისათვის, ვიდრე თარგმანი მაგნიტის წიგნებისა, ვერ იმიტომ, რომ იგი იპყრობს საუკეთესო მოთხრობებს მაგნიტისასაც და სხვა ავტორებისასაც

და, ამას გარდა, შეიცავს ოციოდე მოთხრობას ჩვენის ბუნების და ცხოვრებიდან, მერმე იმიტომ, რომ „ძონა“ უღრის თითქმის ორივე წიგნს მაგნიტისას და ფასით კი ერთი ოთხად იაფია მათზედ. აბა ვინმეც სცადოს და გამოსცეს უბრალო თარგმანი მაგნიტის წიგნებისა და ნახავს, რომ ეს თარგმანი გზას ვერ გაიკვლევს ჩვენში. „ძონა“ კი პირველადვე ორი წლის განმავლობაში იქმნა გასყიდული.

ჩვენი მკილველი კვებნას საზიზლარს რასმეს ეძახის. მტყობა მას სრულიად არა სკოდნია, საზიზლარი რა გვარს ქცევასა ჰქვიან. ძველსა უმანკო რამეა, რომელსაც საგნად არავისი ენება არა აქვს და არც შეუძლიან. იგი დამამცირებელია თვითონ მკვებარასათვის, სხვებისათვის კი არამც თუ უვნებელი არის, არამედ სარგებელსაც შესძენს, რადგანაც ჰგვრის სიცილსა, მხიარულებას უბადავს გულში. მიიტეტი „საზიზლარი“ სრულიად სხვა გვარს საქციელს მიეწერება. აი, მაგალითად, ჩვენ რომ შეგვედგინა უკუღმართი მიმართულების სახელმძღვანელო, მის გზის გასაკლევად დაგვეწერინებინა სხვისათვის წერილი წინააღმდეგ წაღმართი მიმართულების წიგნისა, შემდეგ მთელს საზოგადოებას და ყველა მასწავლებლებს უარყოფთ ჩვენი წიგნი, როგორც ნაყოფი უნიკო და მოუარეველი ლაქიობისა, ერთ ხმად ჩაეთვალათ იგი მავნებელს წაბიჯად, ამის შემდეგ ჩვენ ენა ჩაგვეკმინდა, კენტრი სიტყვითაც ვერ გაგვემართლებინა თანვი საზოგადოების წინაშე და სამაგიეროდ ერთგულად შევდგომოდით კანცელარიების იატაკის ცვეთასა, უმორჩილესი თხოვნების წერასა წიგნის სახელმძღვანელოდ მიღებისათვის, აი, ეს იქმნებოდა ნამდვილი საზიზლარი საქციელი, ნამდვილი საძაგლოება. ბანა ეს საზიზლარი საძაგლოება ვინ ჩაიდინა? იკითხავს მკილველი... ჩვენში, რა საკვირველია, არავინ; მაგრამ ჩინეთში კი ნამდვილად ჩაუდენიათ ეს საძაგლოება და ჩამდენი გზლებით ერთად-ერთი ყურ-მოჭრილი ყმა დიდგულა, ბრყვი ცოლი. მკილავმა ჩვენს წიგნს კარგი სამსახური გაუწია, ჩინებული რეკლამა გაუკეთა; მაგრამ თავის თავს კი მეტად ცუდი საქმე დამართა. მან ყველასთვის ცხადი გახადა, რომ სიზმრადაც არ მოსჩვენებია ადამიანური მოქმედება, აზრების რიგანი დალაგება, მათი ხეირიანი გამოთქმა და მხოლოდ უთავბოლო, უზრო ჯიჟინი შესძლებია. მინც კი მისი კილვა წაიკითხა, ერთხმად აღვიარებენ, რომ გამოიტანეს ისეთი ჩაბეჭდილება, თითქო ძუძუმწოვარის გაურკვეველი ბოდვა გვესმოდაო. ორიოდე ნიმუში მკილველის წერილიდან ცხადად დაინახებებს მკითხველს, რომ ეს ჩაბეჭდილება უტყუარია:

„მანგალა, მანგალა! ღირემც იყოს, მეორე წლისათვის საკითხავი წიგნი!

რომ ეს უკანასკნელი თქვენი განხრახნა ყოველად უსაფუძლოა, ამაზედ ხომ თვითონ თქვენც დამეთანხმებით. აქაო და არა გვაქვსო, აქაო და ლარიზნი ვართო, ეგ რა საკადრისია... ეგ ხომ იმასა ჰგავს: ერთს სოფელში მოახლევ არ იყოო... მართლაც ყველა სოფლის მასწავლებლები რომ ი. ს. მოგებაზედ იყვნენ, მაშინაც ვერ წარმოვიდგენთ, რომ ერთ-ერთმა იმათგანმა თავისი სკოლის სახმარ-სახელმძღვანელოდ შეიტანოს; და თუ ეს ასეა, მაშ რად უნდა სურდეს სკოლის მოყვარეს, რომ ვინმე საწყალი სოფლის მასწავლებელთაგანი შეცდომაში შეიყვანოს!... თუ რომ დასამტკიცებელ საბუთებად აქა-იქა ამოგლეჯილი ნიმუშები არ წარგუდგინეთ, უთუოდ გვეტყვიან: ეგ ხომ ცარიელი სიტყვების რახარუხიაო. ამაზედ მეტი საბუთი რაღა საჭიროა? ამ მხრივ თვით „ძონა“ მთლად დოკუმენტია: თუ მინც-და-მინც არ დაგიშლიათ, აი ესეც; მთელი წერილი ამ სახით არის დაწერილი, მაგრამ უნდა გავსტყდეთ, რომ ჩვენი წერილი ვერ მისცემს მკითხველს ნამდვილს წარმოდგენას იმ წერილზედ; ნამდვილის წარმოდგენის დაბადებისათვის მკითხველის გონებაში, ჩვენ უნდა გვეხმარა სხვა სიტყვები, სხვა ლექსიკონი. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც ამ კილვის შესაფერი ლექსიკონი ლიტერატურაში არ იხმარება. რომ მკითხველმა შეადგინოს უტყუარი აზრი მასზედ, თუ რაზედნი გრადუსით ნულზედ ქვემოდ არის დაწეული გონება და ზილობა მკილველისა, უთუოდ თვითონ წერილი უნდა წაიკითხოს „ნობათში“.

ადამიანს არაფერი აგრძობინებს ისეთს გულითადს სიამოვნებას, როგორც ბინძური მტრის უძლეურობა; რომელსაც სურს სხვის დამცირება და თავის თავს კი არცხვენს, სხვას სწამებს უფიცობას და თვითონვე კი გამოდის ყველა მკითხველის თვალში უკანასკნელი უმეცარი, სინსილა მისდის სხვას შეურაცხყოფა მიაყენოს და თავის თავს კი იშოლტავს; უგუფური უნტერ-აფიცრის ცოლივითა, უნდა ტლახნი სხვას მიაცხოს, მაგრამ გუნდა, უძლეური ხელით ასროლილი, უკანვე უბრუნდება, ეცემა თავზედ და ფეხებამდის საძაგლად სვრის, სწორედ ამ გვარი გულითადი სიამოვნება გვაგრძობინა ჩვენი მკილველის უძლეურმა სიბრაზემ და ბოროტებამ.

ბატ. ლულაძე, რედაქტორი და გამომცემელი პედაგოგიურის ყოველთვიურის ჟურნალისა, დიდად დაგვაკლავებს და დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს წიგნებსა, მათ გავრცელებას ძლიერ დაეხმარება, თუ ხშირად გამოიყვანს ჩვენს წინააღმდეგ ამისთანა მძლავრს თალაფანსა (თუ თვითონ, თავის თავად, ბოძანდება ეს ფალაფანი?) და ხშირად ბეჭდავს თავის ჟურნალში მისი ტენის ნაწარმოებსა... მაგრამ საბრალო „ნობათს“ კი იგი ამ გვარი ქცევით ძლიერ ცუდს საქმეს


დამართავს. ამისთანა წერილების ბეჭდვა ნამდვილი სამარცხ-ყოველი ჟურნალისათვის და მესაღლე უღებავს ჟურნალის გამოცემისათვის. რაღა ეს უნდა და ჟურნალსა, რომელმაც ხუთი თვის გამოუსვლელივით ნახევრობით მინც დაჰკარგა ნობა, რწმუნება მკითხველი საზოგადოებისა. რაღა ჩვენი მკილველის ბანი უნდაღა რედაქტორის წერილებს და შენიშვნებს, სადაც სწორედ სამარცხნიოდ არის გვარცმული მსჯელობაც, კლოგიკაც, ენაც და რომელთათვის მოსამზადებელი კლასის მოწაფესაც კი რიგანი მასწავლებელი დაუსვამდა ნულსა მიუხეით. როდესაც ბატ. ლულაძე ჟურნალის ფურცლებს სვრიდა, რატომ სახეში არ მიიღო, თუ რას იფიქრებდენ და რას იტყოდენ საუკეთესო თანამშრომელნი „ნობათსა“. ბანა აქაცის თანამშრომელობის მოკლება არ ეყო (სეტყემბრიდან) ჟურნალსა, რომ სხვანიც დააფთხოს?..

რა გვარად ვეპყრობოდით ჩვენ „ნობათსა“, ეს მკითხველებს კარგად ესსომებათ ჩვენი ბიბლიოგრაფიული წერილებიდან, რომლებშიაც ჟურნალის ყოველს ღირსებას ვაზიანდებდით და ნაკლულეფანებას ვამცირებდით, რათა ამ პერიოდულს გამოცემას გზა გავკვლია და ფეხი მოგვიდებინა ჩვენს საზოგადოებაში. სხვა გვარს თანაგრძობას და დახმა უბადაც არ ვიშურებდით, შეძლების-და-გვარად, ამითი ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გულითა გვესურს სხვების წარმატებაც პედაგოგიურს ასპარეზზედ, გეინარიან მომქმედი პირების გამრავლება სწავლალზრდის სფეროში. ბატ. ლულაძემ კი, გაბრაზებულმა იმის გამო, რომ ჩვენსკენ გამოსაშოლილი კენჭები უკანვე დაუბრუნდენ სარგებლით და ენა ჩაქმენდინეს, გამოლანძლა გამოცემა, რომელიც იპყრობს ოთხმოც-და-ხუთს მოთხრობას და რომელიც სიკეთის მეტს არას შესძენის არც სკოლას და არც საზოგადოებას. თუ ამ საქციელიდან მკითხველი საზოგადოება გამოიყვანს იმ დასკვნასა, რომ ბატ. ლულაძეს საზოგადო ინტერესი სიზმრადაც არ მოსჩვენებია და ჟურნალის გამოცემა დაუწყვიან არა პედაგოგიური ლიტერატურის აღორძინებისათვის, არამედ სრულიად სხვა განზრახვით, ეს მან მარტო თავის თავს დააბრალოს.

თუმცა „ნობათმა“ მოყვრობა მტრობით გადაგვიხადა, სიკეთისათვის ბოროტი მოგვიგო, მაგრამ ჩვენი განწყობილება ჟურნალთან იოტისოდენადაც არ შეიცვლება; ამიტომ რომ „ნობათს“ შეადგენენ არა მისი უფიცი ექსპედიტორი თავისი ერთად-ერთი ყურ-მოჭრილის ყმითა, არამედ თანამშრომელნი, რომელნიც თავიანთ კალმით ამდიდრებენ ჩვენს პედაგოგიურს ლიტერატურასა და რომელთაც ეუთვნის მთელი ჩვენი სიმპატია, სრული ჩვენი თანაგრძობა.

ბ. გოგუბაშვილი.

*) იხილეთ „დროება“ № 259.



სველერები

(„ხრდილოეთის სასაგებრო“) **ნოემბრის 2.**

პამბრეზი. სარა ბეკერის მკვლელობის საქმის გამო ჩამოერთვა ჩვენება მრავალ მოწამეთა; მაგრამ ამათ ჩვენებაში აქამომდე არც ერთი პირ-და პირ გასამტყუნებელი გარემოება არ აღმოჩენილა; მოწმებმა სხვა-და-სხვა გვარად ასწერეს მირანოვიჩის ხასიათი.

მოსკოვი. სკოპინის ბანკის საქმის გამო სამოსამართლო გამოძიება გათავდა და ახლა საგამათობაასი დაიწყო.

ბარლინი. მიღებულ იქნა ცნობა აჯანყების თაობაზედ კორეიში.

ალაშუბა. აქ მოვიდა ახალი ვიცე-გორილი ინდოეთისა დიუჭერინი.

პარიზი. სანავოსნო ბიუჯეტის განხილვის დროს დეპუტატთა პალატაში, ზღვათა მინისტრმა სთქვა, რომ თუმცა დიდ ჯავშნიან ხრამდლების სარგებლობას არ უარყოფ, მაგრამ მაინც ამას იქით, მათ აღარ გავაგებებინებ ხოლომედ ვაპჯობინებ მსწრათელ-მავალ კრეისერებს და მიწონოსკებსაო.

დეკემბრის 3-ს.

მოსკოვი. გუმინ რიკოვი, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება უკვე გათავებული იყო, უსათუოდ თხოულობდა მიეცათ მისთვის დაპარანკის ნება და როდესაც რამდენჯერმე მისცეს წინადადება, დაეცვა წესიერება და ის კი თავისას მაინც არ იმლიდა, — გაყვანილ იქნა სამჯავროს დარბაზიდან; როდესაც დარბაზიდან გამოდიოდა, განაცხადა, რომ არა ჰსურს დასველელის უღალა. პროკურორმა მურავიოვმა გამამტყუნებელს სიტყვაში, რომელიც დაიწყო რიკოვის დაუსწრებლად, გამოსთქვა რომ ბანკი ქვიშის ნიადაგზედ იდგაო, რომ იგი ვითომ და ბანკერის წესებით წარმოებდა, მაგრამ ცხადად-კი გაიძვერუდის ოპერაციებით მოქმედებდაო. აღწერა-რადრო, როდესაც სკოპინელის უკვდავების წყაროდამ, ვექსელის ქაღალდების ნაკუწების მაგივრად, ოქროს წვიმა გადმოსდიოდათ, რამაც გამოიწვია ზოგიერთების დაქცევა, ზოგის ზნეობითი დამხობა და ზოგთაგან კი ბოროტ მოქმედება, პროკურორი გადავიდა კერძო ბოროტ-მოქმედებაზედ. როდესაც რიკოვი ისევ შემოიყვანეს დარბაზში, მან ხელ-მეორედ განაცხადა, რომ არა სურს დაუსწროს საქმის გარჩევას და არც მისცემს

დაცვის ნებას თავის დამცველს, თუ მას არ ათქმევინებენ უოველის-ფერს, რაც კი ჰსურს. რიკოვი ხელ-ახლავ გაიყვანეს. მის დასველელის ოდარჩენკოს შესახებ-კი გადასწავიტეს, რომ იგი მოვადეა დაიცვას კლიენტი ნაფიცის ვექილის ფიცის ძალით.

ლონდონი. ლონდონის ნიდს ქვეშ მოხდა აფეთქება, რომლისაგან რამდენსამე მახლობელს შენობებში დაიშხვრა ფანჯრების მიწები, აფეთქების მიზეზი არ არის ახსნილი.

ცნობანი

მაზანდა
ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელ-და-ხელ 1 დეკემბრიდან 16 დეკემბრამდე 1885 წ.

გამომცხვარი ზური რუ-სეთის ფეკილისა	— 1 გირ. 5 კ.
აქაურის ფეკილისა: პირ-ველის ხარისხისა	— 1 ბ. 2 1/2
მეორისა	— 1 ბ. 2 ბ.
იმპერ ფეკილ. თორნეში გამომცხვარი:	
პირველი ხარისხის	— 1 ბ. 4 1/2
მეორისა	— 1 ბ. 3 ბ.
მესამისა	— 1 ბ. 2 1/2
ჭკარის-მამი ზური:	
პირველი ხარის. ლაკში 1	ბ. 4 1/2
მეორის ხარის. ლაკში 1	ბ. 3 1/2
მესამისა	— 1 ბ. 3 ბ.
ძროხის ხარის:	
პირველის ხარისხისა	— 1 ბ. 7 კ.
მეორისა	— 1 ბ. 6 ბ.
სუფი	— 1 ბ. 14 ბ.
ცხვრის ხარის	— 1 ბ. 7 ბ.
ღორის ხარის:	
პირველის ხარისხისა	— 1 ბ. 7 ბ.
მეორისა	— 1 ბ. 6 ბ.

განცხადებანი

ინგლისის მალაზია
Maison de confiance

შეადართ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 ბ. 10 კ.	1 ბ. 40 ბ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50

საუკეთესო 2...
იქვე ასეიდან სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დასები, კოვზები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი, შოკოლადი, კაპო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უხავიკები, კლეიკა-წინდები—გაცისა და ქალისა, ხელ-სახო, ტეპი, მაკინტოშის კალენკორა—სულ ეკვლაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

განცხადება გარდა 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდე საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—49)

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემგან შედგენილის და ამოკრილის ასოების გადახატვა და ხელ-მეორედ ამოკრა აღიკრძალება. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონიერს დაკმაყოფილებას მოვითხოვ.

(3—3) გრიგოლ ტატიშვილი —ჭიგარო.

მე. ზილაქთა წიხნის მალაზია

ქუთაისში

მცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან საკუთრებად შეიძინა მთელი გამოცემა აკაკის განთქმული პოემის **თორნიკე მრისთავისა**, რომელიც ისყიდება მხოლოდ ამ მალაზიაში, ექვემდლიარი თითო მანეთად. იქვე ისყიდება ყველა ქართული გამოცემანი, სხვათა შორის: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვის-რამიანი, თ. გ. კრასთავის თხზულებათა კრება, ჩინებულს უდაში და სხ.; შოველ-გვარი სასკემდეკანკლეობი ქართულს და რუსულს ენაზე, სასწავ-

ლა და საგანცხადებო კუთონილობანი. მაგ მალაზია შეიძინა უფლება დას შეუდგა გამოცემას ჩუნი თორნიკე პოემის ილია ჭავჭავაძისა და ასაკი წამართლის თხზულებათა კრებისას. (10—10)

შმორჩილესის თხოვნით მიემართავ ბ.ბ. ქველ-მომქმელთ შეძლებისა დაგვარად აღმოუჩინონ შემწეობა შთელავის საქალაქო სასწავლებლის ღარიბ-მოწაფეთა დამხმარებელს საზოგადოებას. შემოწირული ფული და ნივთები ვითხოვ გავზავნილ იქმნას ქ. შთელავს, საზოგადოების სამმართველოში. თავმჯდომარე ვ. ს. ალექსეევ-მესხივეი. (3—3)

ოლდინდამ მოსულს მასწავლებელს ძალს მუსიკისას, შტორხის მეთოდით სურს მისცეს გაკვეთილები. ადრესი: „კედზუას“ სასტუმრო. (4—1)

ОБЪ ИЗДАНИ ВЪ 1885 ГОДУ ЖУРНАЛА „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“ (ГОДЪ ПЯТЫЙ)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

- I. Статьи по всемъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории права и судопроизводства.—II. Перечень, изложение и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV Корреспонденція юридическаго содержания.—V. Краткіе отчеты о новыхъ внитгахъ юридическаго содержания (Обзоръ юридической печати и библиографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы и текстнальное изложение кассационныхъ рѣшеній: а) департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлечение изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляционнымъ и кассационнымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

Выполнивъ, по возможности, свои прошлогоднія общенія предъ читателями, редація „Юрид. Обозр.“ постарается придать своему журналу въ будущемъ году еще большій интересъ, при содѣйствіи многихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ.

Кромѣ статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права, межевымъ, нотаріальнымъ, судебно военнымъ и пр., а также о внутренней жизни кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня, —въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей ихъ адаты и пр.

У С Л О В Я П О Д П И С К И :

Редація и администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. вн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

Для гг. студентовъ плата 8 р., полугодовая—5 р.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года, уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб. за годовой экземпляръ.

При перемѣнѣ адреса вносить 40 к.

За объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., 1/2 страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

При доставленіи въ редакцію „Юридическаго Обозрѣнія“ экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и содѣлана публикація.

Подписчики „Юрид. Об.“ имѣютъ право на полученіе, черезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ. (7—3).